ფასი 60 კაპ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

ორშაბათი, 24 თებერვალი.

№ 10 1919 წ.

გაზეთი ამთხვევთვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი ამ თავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 60 კაპ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა დროებით მიიღება „ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის“ კანტორაში ბ. ანტიოხ სტურუასთან (გოლოვინის პრ., 26) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში ალექ. იოსელიანთან. აქვე შეიძლება რედაქციის მდივნის ნახვა.

დედა-ქალაქი, თებერვლის 24.

ჩვენი მდგომარეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობა სერიოზულად ისეთ სახეს იღებს, როდესაც საფუძვლიანი ეჭვი იბადება მისი თავისუფლების მიმართ. წარსულ კვირეებშიაც საქართველოს ორი მხრიდან მოადგა შავი ძალა, რომელსაც უეჭველია გარკვეული მიზანი ჰქონდა, რომ საფრთხეში ჩაეგდო ქართველი ხალხის თავისუფლება და შეიძლება მისი ფიზიკური არსებობაც. სოჭის ოლქიდან და ფოცხავიდან წარმოებული თავდასხმა ეს უკვე ახდილი შეტევაა ბნელეთის მოციქულებისა და საკვირველი არ არის, თუ ქართველი მშრომელი ხალხი ერთსულოვნად მზადაობაშე მოსეულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულში გამარჯვებულთა პოლიტიკა დაახლოებით მაინც მაინც მოგვაგონებს პირველი მსოფლიო ომის ნაპოლეონის ომების გამორკვეული დამთავრების გამო ევროპიაში გაბატონებულ „დირიქტორთა“ პოლიტიკას, რასაკვირველია თავისებურათ განსხვავებით, ნიუანსებით და გართულებით. მაშინაც და ეხლაც გამარჯვებულები ცდილობდენ თვისი ნების-ყოფა სავსებით თავს მოეხვიათ მსოფლიოსათვის? თვისი მიმართულების გეზი საყოველთაოდ გაეხადათ. მაგრამ თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს კიდევ შესაძლებელი იყო, დღეს უკვე თუ შეუძლებელი არა, დიდად საძნელო მაინც არის. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ დაწყებული დიდი საერთოშორისო გამათავისუფლებელი მოძრაობა ეგრეადვილად ნებას აღარავის მისცემს ძალადობით და მტარვალობით განამტკიცოს თვისი მეუფება, გარდა ამისა თვით მსოფლიო ბატონობა ისეთი მოლიპული გზაა, რომელზედაც შესაძლებელია სულ ადვილათ მოიტეხოს კისერი მრავალმა „ორთავიანმა არწივმა“ ამ გარემოებას ეჭვი არ არის, დიდ ანგარიშს უწევს ჩვენ ქვეყანაში შემოსული უცხო ძალაც და თუ იგი ჩვენს მფარველად არ გამოდის, ყოველ შემთხვევაში ცდილობს თვისი პოლიტიკის გეზი შემთხვევითი ავანტიურიზმის ქსელში არ გაიბას.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ღრმად გვრწამს. რომ ქართველი მშრომელი ხალხი, განსმჭალვული იმ აზრით, ეროვნული თავისუფლება conditio sine dia non არის მუშათა ნამდვილი მოძმობისათვის, მთელის ძალ-ღონით დაიცავს დიდი რევოლიუციის მიერ ნაბოძებ თავისუფლებას და ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ საბოლოოთ საერთაშორისო მოძმობა გაიმარჯვებს და მაშინ ერთხელ და სამუდამოდ დადასტურებულ ბინძური პირსისხლიანი იმპერიალიზმი.

დაახლოებით ეს აზრი გამოსთქვა ჩვენმა წარმომადგენელმა პარლამენტში და ჩვენც ამ შეურყეველი იმედით შევცქერით მომავალს, თუ შავი ძალები კვლავ მოინდომებენ ჩვენი თავისუფლების წარკვეთას, მტლეთ დავედებით მას და მხოლოთ ჩვენს ძვლებზე შეუძლია ჯოჯოხეთის მსახურთ თვისი მეუფების დამყარება.

მაგრამ ყველა მათგან, ვისაც ბედის ტრიალმა, საქართველოს ცხოვრების მესაჭეობა მიაკუთვნა ხაზგასმით და კატეგორიულათ მოვითხოვთ რომ მათ მხოლოდ მშრომელი ხალხის საკეთილდღეო მოქმედება აწარმოვონ...

საღლეისო

თუ დღევანდელ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩაუკვირდებით და წარსულს დაუპირდაპირებთ მას დავინახავთ, რომ ახალი არაფერია დედა ძარღვ მოვლენისა ერთი და იგივეა არა ერთხელ ყოფილა საქართველო ასეთ მდგომარეობაში როგორშიდაც დღეც იმყოფება არა ერთხელ და ორჯერ ჰქონდა მას ერთსა და იმავე დროს ომები და აი დღემდისაც ამ გვარ რამეს განიცდიდა.

ამ მიზნების გამო ზოგიერთმა გულუბრყვილოთ ქართველმა თითქმის მეკვის თვალით დაუწყო ჩვენს მომავალს ყურება გულის ტკივილით შემოუჩივლია ჩემთვის საქართველო ერთსა და იმავე დროს ორ მუხანათ მტერთან ბრძოლას ვერ შესძლებს და საუკუნოებით ნანატრს თავისუფლებას რამდენიმე დღის განმავლობაში უნდა გამოვეთხოვოთო.

შავრაზმელი რუსების ფსიხოლოგია ხომ თვალსაჩინო გახდა ის ინი ყოველ ღონეს ღონობდენ მოხალისეთ ფარისთვის [illegible] შეეწყოთ, ადგილობრივი ზოგიერთი შავრაზმელი სომხებიც მათ მიეკედლა და შეერთებული ძალით ერთგვარ ობიექტიური პირობებს ქმნიდენ თავიანთ მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ არ დასცალდათ და მათგან ახლად დასახული რეაქციონური აზრები ჩასახისთანავე უნაყოფოდ გაიყინა.

სოჭის ამბებს სულ სხვა თვალით უყურებდით და ამიტომ ქონდა ადგილი უიმედობას ზოგიერთ ქართველში მაგრამ როდესაც სინამდვილესთან გვაქვს საქმე დღეს როდესაც „ველიკო ბრიტანიის“ ბრძანებით მოხალისენი დაკავებულ ადგილებს ანთავისუფლებენ უიმედობას ჩვენში თანდათანობით ადგილი აღარ ექნება.

ჩვენ თამამად შეგვიძლია კიდევ ერთხელ დაუმტკიცოთ ქარლველური გმირობა იმ ბრბოებს, რომელთაც არ მოსწყინდათ სისხლის ღვრა და რამდენი-მე ამხანაგი მოგვიკლეს ახალციხეში და კიდევ მეტი ჩვენს თავისუფლებაზე ილაშქრებენ. ეისაც შეგვრჩენია სამშობლოს სიყვარული ერთხელ კიდევ დავირაზმოთ, ნიჟდვარად მოვევლინოდ დაუძინებელ მტერს და გავსწმინდოთ ჯუჯუყისაგან ჩვენი სამშობლო კუთხის სპეტაკი ადგილები.

ლადო გავაშელიშვილი

ფედერალისტები.

რისხვასავით შეიჭრა ფედერალისტების ბიუროში სამეგრელოს მთავართა უკანასკნელი ჩამომავალი უბრწყინვალესი თავადი სამსონ დადიანი. —როგორ? კიდევ განაგრძობენ ეგ საბიზღარი მუშები აქ ყოფნას? ჩვეულებრივ ამაყი იყო თავადის სიტყვა, რომ სამწუხაროთ მუდმივ ახირებული მუშა ნიკო უსტიაშვილი არ გამოხულიყო მუშათა კავშირის ოთახიდან-თქვენ კიდევ აქ ბრძანდებით? გადით გაგვცალეთ აქედან!? მრისხანეთ უბრძანა თავადმა მუშას, მაგრამ კაღნიერი ფეხსაც არ ანძრევდა—სრულებით ვირს ჩამოგავხარ!... უკანასკნელათ დასჭყივლა მოთმინებიდან გამოსულმა თავადმა და ძვირფასი მაუზერით, რომელითაც რვა თათარი მოკლა აწყურთან ომში უსტიაშვილს მიაჯინა კისერზე... ბედათ აუტყდა ამ თავადის შეტევას მუდამ ხუმარა სულთანიშვილი;—სამსონ: ამ მაუზერს თუ ძმა ხარ პირი იქით აქნევინე უცაბედათ არ გავარდეს და ამხანაგი არ გოჭკლა! ჩვეულებრივ ხუეროობით ჩაგლაპარაკა.--გიორგი შენც და ალინოთ ბრწყინვალე ქალაგი—ამხანაგებო, სულთანიშვილი სოც. ფედერალისტი არ არის; იგი იმდენად მხდალია, რომ ერთ ნიკო უსტიაშვილსაც ვერ მოკლავს, იგი, იგი, ყველაფერია თუნდაც ,,მახაველი''! ფრთხილად დაუგდო ყური ამ სიტყვას დინჯი კახეთის შვილმა და თავადის ისევ შეეკითხა: ,,რა უნდა იყოს ამხ. სამსონ ხიტყვა მახაველი''? აი!—უეცრად შემოიჭრა დარბაზში, სათვალეების რევოლიციონერი, მიშა საყვარელიძე—მოდი ახლა და ამ ხალხს ვლაპარაკე რას მიხვდები უმადრუკო სულთანიშვილო თუ რას. ნიშნავს ეს ხიტყა! შენი ფონება ჯერ ვერც კი გაიგებს, შენ სულელი ხარ, შენ ყრუ ხარ, შენ ბრმაც კი ხარ!... არ ვიცი მიშაჯან სათვალები შენ გაქვს და ბრმა მე რათა ვარ? ისევ გახუმრება სცადა სულთანიშვილმა, მაგრამ დადიანი აიჭრა ზევით, ზევით სულ ზევით, არჩილ ჯორჯაძის ახლო და ლალად-ყო: გარეკეთ მუშები, ეგ ბრმები, აქედან, ესენი ჩვენ გვემუქრებიან და გაწყვეტას გვიპირებენ, ჩვენ რომლებმაც გავზარდეთ ეგ ყრუები. და რომ იმ დღეს ფედერალისტებს ხალხი ჰყოლოდა კლუბში, უეჭველად რაცხას დალეწავდენ. მუშათა კლუბში საღამოს ორი მუშა შემოპარულიყო! ღამის ექვს საათზე—თვალზე პენსნეთი, ხელში პორტფელით თავზე ქოჩორით, ოდნავ უკან გადაწეული ნაჭეკი თავით შემოვიდა ბრწყინვალეგბა და სიამაყე მეორე ოპოზიციის, ეხლა განათლების სამინისტროს მიერ ხელ დასმული მასწავლებლათ ერთ-ერთ გიმნაზიაში, მუშათა წრის ,, პოჩიოტნი'' დეზერტირი ვ. კოტეტიშვილი...

ახლად შემოხულს მდაბლად თაყვანი სცა ჯიბის მუშა ვ. დუმურაშვილმა ოპოზიციონერთა სკამებზე გაშხლართული იყო თავისი უზარმაზარი სიგრძე სიგანით მუშა იოსებ მერკვილაძე... მაშ ყველაფერი გათავდა!! ლამაზ ბაგეთაგან უიმედოთ აღმოხდა კოტეტიშვილს. ალიოშა წერეთელი! სთქვა მან და ჩაფიქრდა...

მაშ მე არასოდეს პარტიის ლიდერი არ ვიქნები? ჩემი თავი არასოდეს არ უნდა დაიდაფნოს?!!

მე რომელიც პუბლიცისტიც ვარ, პოეტიც, მხატვარიც, აგიტატორიც, პროპაგანდისტიც ერთი სიტყით ყველაფერი-უსინდისო მუშებისთავმჯდომარეობა რა არის ისიც კი ალიოშას არგუნეს! აღარაფერი უთქვამს იმ ოთახში, სადაც მუშათა კლასის წარმომადგენელნი ძველად ოდეს ბჭობდენ და ბაასობენ, ეხლახან მხოლოდ ვახტანგი მარტო სტაროდა და ეს ცრემლები თითქოს წვავდა მის ამაყ პატივ მოყვარეობას! ნელ-ნელა ბნელდებოდა ფედერალისტების მთავარ ბინაში—იოსებ! ყრუდ გაისმა კოტეტიშვილის ხმა—გასწი და პაპიროსი მომართვი—ააა! ახლა დამიწყებს აგი აქანე სამსონ დადიანივით პაპიროსი მომიტანე, პირი დაბანიე ჩექმები გაუწმინდ! ხომ არ გადირიე ვინცხა ეშმაკი ხარ—მე შენ კი არა მაგი ახლა სამსონ ფირცხალავამ რომ მითხრას იმას არ აუსრულებ!—იოსებ! წადი თუ ძმა ხარ! შეეცადა ხვეწნას ვახტანგი. ვერ მოგვართვი ლიდერი გახლავართ სოც. ფედერ. სარევოლიციო პარტიის ახალი მუშათა კავშირის! იოსებ! როგორ! შენცა? დიახ მეც! მე რა შენზე ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის თუ? ერიპაა! იოსებ ეხლავე წადი პაპიროსზე თორემ ხომ იცი?!

რა ვიცი? რას აპირობ?

ანარხისტი ვარ რწმენით ხომ გაგიგიათ! რას ვაპირობ და ხომ იცი ყურის ძირს გაგისვებ ცემით! ეხლავე წადი თორემ!

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ვიდრე ნერვებს დავიმშვიდებდე, გიახლებით.

დუმილმამოიცო მთავარი ბინა. ბნელში ვი-ლაცის შავი სილუეტი კედელს მიყრდნობოდა. სდუმდა ვახტანგიც დაიყო სიჩუმე ,,ვით მკვდართა ძილი''..

ივანე დუბურაშვილო! ბრძანე ბატონო!

ხვალ დილიდანვე მემარცხენეთა ბანაკი გაახურებს ჩვენს წინააღმდეგ შემოტევას ხომ იცი? მუშათა პირუთვნელი კრიტიკა არაფერს არ დაინდობს! უმთავრესად მათი არტილერია სწორსა და უტყუარს შიბანში ამოიღებს. იმ. ორს თავდადებულსა და პარტიის უძლეველს სიმაგრეებს, რომელთაც თავის ღონიერ მეჩვენებზე გადააქვთ სიმძიმე პარტიული ბრძოლისა და არსებობის! გესმის? ივანე დუმურაშვილო ვიზედ ვლაპარაკობ?

მესმის ბატონო? ერთი თქვენ ბრძანდებით! თქვენ!.. და კინალამ როლში შევიდა მუშა დუშურაშვილი მაგრამ კოტეტიშვილმა სიტყვა გააწყვეტინა.

მეორესაც ისე მიხვდები როგორც პირველს. იგი უპირველესი დარაჯია მუშათა კლასის, იგი უძველესი ვეტერანია რევოლიუციის, იგი დევნილია ყველასაგან მას იცნობს მთელი საქართველოს დემოკრატია, ის ღონიერი ის ძლიერია, ის ბოლოს და ბოლოს ძლიერ მოსწონს სამეგრელოს მეორე თავადს, როგორ არ იცი შოთა დადიანს!

მივხვალ ძვირფასო ვახტანგ: ჩვენი ძვირფასი გრიგოლ ლალიძე!...

ლალ ჩემო ნიჭიერო თანამშრომელო! გრიგოლ ლალიძე, ეს ხომ სახელი და დიდებაა ფედერალიზმის, გრიგოლ ლალიძე ეს ხომ სიმბოლოა ჩვენი პარტიის, ჩვენ და ჩვენი პარტია, ლალიძეთი ყველაფერს ვლაპარაკობთ! გიყვარდეს ეგ ძლავრი ჯაბუკი საყვარელო მუშაკო!

მიყვარდეს რა! თუ შეიძლება მისი სიყვარული რატომ არ უნდა მიყვარდეს, მიყვარდეს ბატონო! მგონი კიდეც მიყვარს!...

ვახტანგმა ცოტა უკან დაიხია და უფრო ბნელისკენ გაჩერდა, დუბურაშვილი რაღაც სევდამ შეიპყრო!

ივანე!

ხომ იცი რომ გაზეთის ფული რვაასი მანეთი შემოგეკამა? მუშების მონდობილება ფულის შეგროვების შესახებ რომ უსინდისოდ შეასრულე. მუშათა გროშები შენმა უზრდელმა მუცელმა რომ ჩაყლაპა ხომ იცი! დუმურაშვილი აკანკალდა. ვახტანგ!

დაიცა! გადახდაც რომ არგინდა და ხომ იცი! ეხლა ასინი ყველაფერს გამოამჟღავნებენ!

ვახტანგ! დამიფარე!

კბილის წილ კბილი! დუმურაშვილო ხვალიდან ერთად შეუერთოთ მათ; მე ოპოზიციას არ ჩავკლავ მე ისევ განვაგრძობ ოპოზიციას მე ისევ ვიხელმძღვანელებ შენ და შენნაირ თავიდან მუშებს გადავძახებთ გაუმარჯოს მუშებს! მე გიზამ ამას! მე ვახტანგ კოტეტიშვილი. დიახ მე!

თქვენ! დიახ! თქვენ! მაგრამ თქვენც რომ რაღაც „ჩალეწილი“ თაქვთ საქმე, მე ამას ვშიშობ ჩემო ვარსკვლავო, ვიღამაც ელექტრონის სინათლე აანთო!.. ობლად შთენილთა შორის ლომაურის ქალიც აღმოჩნდა: черты вы черты! ეჩხუბებოდა იგი ვიღაცას: ,,ბიორგი შიხვილიდ ხომ. გულზე გახეთქავთ ,,кональ'' ვიღაც გამასხრა და სახელ ძვირფასით კინალამ გათავდა, რომ ,,ფედერალ! ,,ბარ-პელვარი'' მუშები, მუშები, მუშები, წავიდნენ შურინო, მეც გამოვექეცი მენშევიკებს მაგრამ რა უყოთ მერეაი თუნდა ერასტო ტორატაძე ისიც ,,Бѣглѣц''ია მაგრამ, არ მოგვიკლავს თავი. ძალზე გადაეკრა მაქსიმე ბერძნიშვილს და როგორც წვერი სახელწიფოებრივი პარტიის, მიდიოდამ დიეჯად ამაყად ჩვეულებრივად მის გამოჩენაზე ვახტანგ კოტეტიშვილს რაღაც სიცილი აუტყდა—ამბობენ გაახსენდათ მხატვრობა მესამე კონფერენციაზე როცა მაქსიმე ამავე პოზით ,,რეჩს უხათქუნებდა მარჯვენა ფრთის სასარგებლოდ. სოსიკო მდივნის გამოჩენამ მეტად გამოაფხიზლა საზოგადოება; მას თან მოყვებოდა გენერალი გედევანიშვილი და პარტიაში ფეხ შემომბიჯებული მრავალი პარტიის ბიჭები.-აბა სოსიკო, რაქენი როგორაა საქმე, შემოეხვივნენ ხონელ დიპლომატს...

რა უნდა მექნა, ბოშო, რა, აგვშლებათ ნერვები და გააფუქებთ საქმეს. და მერე აკეთე სოსიკო. დღეს არა უშავს, დატრიალებული შუაკ მთელი ხალხი იქნება რამეს გავხდეო ოთავე მუშებს კაცები გაუგზავნე ეის რა არ შევპირდი, მარა არ ვიცი არ. ვიცი, ტრამვაელებიც ვნახე, ერმილე კვერეხაძესაც ჩაუფუჩუნე რაც ხა მარა, ნამეტანი გულ გატეხილები არიან, კაცო ნამეტანი კიარ უნდა! თქვენ მიდგებით და არ დაუტიებთ არაფერს, გინახავთ აგი?

აბა სოსიკო! ეხლა თუ გვიშველი სამსონს და მიშას ბოლთას დავადებ ტუჩებზე—წარმოსთქვა პარტიის კაპტენარიუსმა მაჭარაშვილმა. რაო?? წარმოსთქვა დადიანმა, ვიღაც ოხრების. გულისთვის პირს დამიბოლქომებთ.? მაჭარაშვილი მოემზადა, ყვითელი ჩექმები როგორლაც ისე აათამაშა რომ. უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ამ დროს შესავალ კარებში გამოჩნდა ვიღაცასი გძელი და ლამაზად შეკნაჭილი წვერები—სამსონ ფირცხალავა ერთხელაც იყო ღალადისი. დიტო!

შალვა ნუცუბიძე.

ეს შემოსვლა ისტორიული იყო და რა თქმა უნდა სამსონ ფირცხალავას თავმჯდომარეობით დაიწყო, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის წინდახედულმა თავჯდომარემ წინასწარ წყვილი ქონის სანთლები მოითხოვა და სურათიც ძვირფასი გამოვიდა წინ ტრიბუნაზე სამსონ ფირცხალავა სანთლებით ხელში უკან კი მთელი, ფედერალისტური ,,ვერხები'' რომელიაცთ მარჯვნით ამშვენებდა ჯიბის მუშა დუშურაშვილი და მარცხნით კიდეგ მუშა იოსებ მერკვილაძე. შემოხვევით საიდანლაც გაჩნდა ბიორგი სულ-

თანიშვილი და რაც ლონგ ქონდა დაიკვირა; ფარდა! ღვთის გულისთვის ფარდა!.... სამხონს ხანთლები ჩაუქვრა!.

პარტალი

ჩვენი მოპირდაპირენი.

უნდა გადაჭრით ითქვას, ფედერალისტები არავითარ საშუალებას არ ერიდენ ჩვენს დასამარცხებლად ამოსწურეს ყოველის მხრიდგან დასამარცხებელი საშუალებანი; გვებრძვიან. მაგრამ არა იდეურად, არამედ სულ სხვა გზით::

ჩვენ ისინი გვეძახიან ჯიბგირებს, შანტაჟისტებს და სხვა ათას გვარ ქუჩურ სიტყვებს, მერე ვის ეძახიან ამ სახელწოდებას, მათ ვინც სული ჩაუდგა იმ მუშებს, რომელმა მუშებმაც ეს მცონარე ფედერალისტები მოლიტიკური სიკვდილისაგან იხსნა; და მათი დაუზოგავი დაჩიმული ძარღვების საშუალებით პარლამენტში შებძანდენ და ორიოდე მინისტრის პორთფელიც არგუნათ ღმერთმა; და ამნაირად მათ საქმე დამთავრებულად ჩასთვალეს, მუშები და მუშათა ინტერესებზე აღარც იმდენად იტკივებდენ თავებს: მაგრამ თბილი კაბინეტი და პარლამენტი, მარქსისს არ იყოს, იმდენათ მიმზიდველი ყოფილა, რომ-ბევრ გულწრფელ სოციალისტებზედაც მოქმედობს თურმე, ჩვენი ინტელიგენცია კი რომლებიც საგრძნობად მიიზიდა პარლამენტარიზმა და თბილმა კაბინეთებმა, ვეღარც კი ითმენდენ მუშების შეხედვას: მაგრამ შეგნებული მუშათა ნაწილი ოპოზიციაში [illegible]ულ[illegible]ოთ და საშუალებას არ აძლევდა მათ არსებითად იხე ემოქმედნად როგორც მათ სურდათ, და მუშების სისტემატიურმა კრიტიკამ პარტიის ზოგიერთ გამთიშველის იტელიგენტს წევრებიც კი მოუშალა და ამიტომაც იგინი არა ნოლმარულად გრძნობენ თავს.

აი, დღესაც სწორედ ეს არა ნორმალური და წყვრებ მოშლი იტელიგენტები გვებრძვიან წერით და ყოველგვარი საშუალებით მათ ვერ მოუნელებიათ მუშათა ორგანიზაციები და მუშათა საკითხების ძირთადი პრინციპების გაღრმავება ჩვენში.

აი, ამ დაავადმყოფებულმა ინტელიგენტებმა და საერთოდ პარტიამაც, პოლიტიკური შანტაჟისტობაც კი ჩაიდინა, რომელზედაც უმფრო საბარცხვინო საქმეს არამც თუ პარტია მე ვფიქრობ, თუ ცოტა სინდისი შერჩენია, ადამიანს პიროვნებაც არ იკადრებს.

სვეერიან ჭიჭინაძე, ოდა ესკარიოტელის ქუჩაში გახვეული, მოგვიკვანენს და მუშებისგან თითო ორ-ლა მანეთობით შეკრებული ფული დაგვტყუა და პროვინციაში ჩვენს საწინააღმდეგოთ აღარ მოვა აგიტაცია. განა ამაზე მეტი შანტაჟი კიდევ შეიძლება, ბატონო დადიანებო და საყვარელიძეებო.

ის სიტყვები, რაც თქვენ დასწერეთ, ბ. დადიანო, თქვენს გაზეთში „სახ. საქმის 451 ნომერში", არსებითად თქვენ ხართ ღირსი იმ სახელწოდების; თქვენ ჩვენ ჰაერზე გვიძახით შანტაჟისტს, ჩვენ კი ფაქტის წინაშე ვაყენებთ, შანტაჟისტობაც თქვენ ჩაიდინეთ რომელიც მთელი თვისი მნიშვნელობით გეკუთნით.

ენ.-კანაძე.

საქართველოს პარლამენტი.

სასწრაფო სხდომა.

სამშაბათს. 17 თებერვალს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საქართველოს პარლამენტის სასწრაფო სხდომა. ამ სხდომისთვის გამოწვეული იყო პროვინციაში მყოფი პარლამენტის წევრები, რომელნიც სამშაბათისთვის უკვე თბილისში იყვნენ. განსახილველი იყო ღღევანდელი პოლიტიკური მომენტის ვითარება

კრება გაიხსნა დღის 12 ს. და 10 წ. ბ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ პარლამენტის შეკრების მიზნის განმარტვის შემდეგ სიტყვა მისცა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ვრცლად დაახასიათა ღღევანდელი მომენტი.

ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვა

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, განვლო ორმა წელიწადმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ მრავალი ცვლილება განიცადა, დიდმტალღებმა გადაიარეს მის თავზე, რომელნიც მას დალუპვას უქადიდენ- მაგრამ აქ მოიძებდა ისეთი შეკავშირებული და ცნობიერი ელემენტები, რომელთაც თავიდანვე აიღეს სწორი ხაზი და შეეცადენ ხალხი მშვიდობიან და უვნებელ გზაზე გაეყვანათ. ეს მიზანი შესრულებულ იქნა და დღეს, ორი წლის შემდეგ ქართველი ხალხი უკვე სდგას იმ ნიადაგზე საიდანაც იწყება ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკური განვითარება. ფაქტიურად დღეს ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული სოციალურ, პოლიტიკური კალაპოტი ჩვენი ცხოვრებისა, საჭიროა მხოლოთ მას მიეცეს იურიდიული ფორმა, იურიდიული სანქცია და ამ საქმეს შეასრულებს დამფუძნებული კრება. ქართველი ხალხის ცხოვრება სდგება დიდი რევოლიუციის მიერ მომზადებულ და დამკვიდრებულ ნიადაგზე და ეს ნიადაგი შეურყეველია და მას ვერ შეარყევს ვერავითარი ძალა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს რომ თუ ასე გამტკიცდა მდგომარეობა საქართველოს ცენტრებში, ესე არ ხდება საქართველოს განაპირა კუთხეებში სხვა და სხვა ჯგუფების იმპერიალისტური ზრახვანი ვრცელდება ჩვენი განაპირა კუთხეების ადგილებზე. მათ იციან რომ ჩვენი მიზანი ამ ადგილში ეკონომიური განვითარების და დემოკრატიული წყობილების შეტანა და გამტკიცებაა. ჩვენს მტრებს სურთ ხელი შეუშალოს ჩვენს მიზნებს ერთის მხრით და მეორეს მხრივ დასტოვონ საქართველოს კარები ღია და დაიკავონ ჩვენს ირგვლივ ყოველივე სტრატეგიული პუნკტები, ჩვენი მიზანი არაა იმპერიალისტური მიზნები. ჩვენ ამ განაპირა ადგილებში არ ესპობთ კულტურას, ჩვენ მათმივანიჭეთ ავტონომია. მაგრამ ეს უარესად ახელებს ჩვენს მტრებს, რომელნიც სცდილობდნენ ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობის დანგრევას. ორივ მხრივ შემოსეული მტერი დენიკინი და ოსმალეთის ემისარები ამას ლამობენ, მაგრამ ჩვენი მთავრობა სდილობს აიცდინოს ეს საშინელება ყოველის მხრიდან, სამშვიდობოს გაიყვანოს ქართველი დემოკრატია და მოახდინოს ამ ამბების სრული ლიკვიდაცია.

კერძოთ, როგორც მოგეხსენებათ სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვეკავა. ჩვენ არ გვსურდა რეაქციონური მეზობლები გვყოლოდა და საქმის გამორკვევამდე გვეკავა ის ალაგები, რომ შემდეგ ყუბანის ცოტა თუ ბევრად დემოკრატიულ მთავრობასთან შეთანხმებით გადაგვეწყვიტა ამ ოლქის საკითხი. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ბელგის დაცლა და ინგლისიც გვარწმუნებდა, რომ ამ მხრივ რაიმე საშიშრებას ალაგი არ ექნებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა დენიკინი მაინც შემოიჭრა ამ ოლქში, დაიბადა ერთგვარი ეჭვი მოკავშირეთა პოლიტიკის შესახებ და როგორც მოგეხსენებათ დემოკრატიამ მოითხოვა საქმის გარკვევა. მე მაშინ განვაცხადე, რომ ეს გაუგებრობა არის, რომ აქ დენიკინის ავანტიურასთან ევაქვს საქმე, რომ აქ ინგლისი არაფერ შუაშია. ეხლა მე შემიძლიან მეტი სიმტკიცით ვსთქვა ეს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საკმაო რწმუნება ინგლისის სარდლობიდან, რომ აქ ინგლისი შემცდარი დარჩა მოხალისეთაგან, რომელთაც გასტეხეს თავისი სიტყვა მე არ მენახა ბ. უოკერი, მაგრამ ვიცოდი, რასაც იტყოდა და მართლაც მისი გარმანტება ამ ხიივ ჩემთვის გასაგები და ნათელი იყო.

მეორე საქმე, რომელიც ჩვენს წინ სდგას ეს არის ბათუმ-ახალციხის ამბები. რამდენიმე დღის წინეთ აქ შესდგა მთავრობა, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა, [illegible] ნია ჩამოაშორეს კ[illegible] მალეთს შეუგრთოს სამუსლიმანო ოლქები, შექმნას საქართველოშიც უთანხმოება, რომლის წყალობითაც შეიძლება თავისი მიზნების განხორციელება. ჩვენ ვიცით, რომ ახალციხის ამბები მათი აგენტების და ასკერების წყალობით მოხდა. ასე შეთანხმებით მოქმედობენ ჩვენს წინააღმდეგ მოხალისენი და მეამბოხენი —ოსმალეთის აგენტები. მაგრამ საჭიროა მობილიზაცია ყოველი ძალებისა, რომ ეს ორი ფრონტი გავამაგროთ და მტერი მოვიგერიოთ, თუ დენიკინი არ დასცლის ჩვენს ადგილებს, ჩვენ ჩვენს ისტორიულ სტრატეგიულ ადგილებს ამ რაიონებში ძალით დავიპყრობთ და ზედ გავმაგრდებით, ვინაიდან გაგრის ჭიშკარი, ეს საქართველოს ისტორიული წერტილია, სტრატეგიული და აუცილებელი ადგილი. მიღებულია ზომები, ახალციხის ამბების აღმოსაფხვრელადაც. ამგვარად ჩვენის რწმენით შინაური სიმტკიცე და სოლიდარობა—მეზობლებთან განამტკიცებს და უზრუნველყოფს ჩვენს არსებობას.

რ. არხენიძე (ს. დ. ვრცელ სიტყვაში გამოსთქვამს იმ აზრს, რომ რეაქცია ყოველმხრიდან ეხვევა ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს და ლამობს მის დამხობას, მაგრამ დემოკრატია, რომელმაც შექმნა ეს ძალა, შესძლებს რომ გაუმკლავდეს ყოველგვარ მტერს და შეინარჩინოს თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება.

ს. კედია. (ნ. დ.) მოუწოდებს მთავრობას დაადგეს სახელმწიფოებრივი, ალმშენებლობის გზას და კავშირი შეკრას ისეთ სახელმწიფოსთან ამიერ-კავკასიაში, რომელიც ვერ შეურიგდება რუსეთის არხეობას ამიერ-კავკასიაში.

გ. ვეშაპელი, (ნ. დ.) ვეშაპელი აკრიტიკებს მთავრობის მოქმედებას და აღნიშნავს მთავრობის სისუსტეს საგარეო პოლიტიკაში. დასასრულ ორატორი მოითხოვს საქართველოდამოუკიდებლობის განსამტკიცებლად საერთაშორისო გარანტიებს იმ სახით, რომ საქართველოს, ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში მისაღები იყოს როგორც მოკავშირე კოალიციისათვის, ისე იმ სახელმწიფოსათვისაც, რომელმაც პირველად განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტება.

გაზეთ, „ბარბა-"ს მიმდინარე თვის 11-ის ნომერში დაბეჭდილი წერილის შესახებ სათაურით—„საქართვე-

ლო მოითხოვს დიდ ბრიტანეთიდან დაკმაყოფილებას''. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ფაქტებთან დაწვრილებით გაცნობის შემდეგ, ის სცნობს ხსენებული წერილის კილო და გამოთქმანნი არა საპატიოანი იყო და შეიძლებოდა მათი სხვანაირათ გაგება. საქართველოს წარმომადგენელი ბათუმში პოლკ. გედევანიშვილის მაგიერ დანიშნულ იქნება სხვა, თანახმად ამიერ-კავკასიაში ბრიტანეთის მხედრობათა ხარდლის ღენ. ფორესტიერ-უოკერის მოთხოვნილებისა.

გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ოზურგეთის ციხის უფროსის შუამდგომლობა.

ოზურგეთის ციხის უფროსმა შუამდგომელობა აშძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე მიმდინარე ხარჯებს დასაფარავათ ოზურგეთის სატუსაღოსათვის 20 ათასი მანეთი მიეცეს.

ქუთაისის მილიციის შესანახათ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ხაზინამ იკისროს მილიციის შესანახი ფაქტიური ხარჯების ნახევარი რაც თვიურათ შეადგენს 70828 მ. 33 კ. ამასთან ერთათ გამგეობა აცნობებს მინისტრს, რომ ეს საკითხი განხილულ იქმნა ქალაქის საბჭოს მიერ, რომელმაც დაადასტურა. ქალაქის გამგეობის მოხსენება.

საგანგებო თათბირი.

იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების შორის თათბირი საგანგებო რაზმის მიერ ჩამორთმეულ ქონების დაყოფის შესახებ გაიმართება 22 თებერვალს საღ. 7 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დაშნაკური ინფორმაცია

კონსტანტინეპოლის გაზეთს „სტამბულ"-ს მოჰყავს შემდეგი ამონაწერი სომხურ გაზეთ „ჯაგათამართი"-დან, რომელიც კონსტანტინეპოლში გამოდის. ამონაწერს სათაურათ აქვს „საქართველო და გერმანია".

„საქართველოს დელეგაცია შესდგება სოციალ დემოკრატიული პარტიის ყველაზე ცნობილ წევრებისაგან. ამ პარტიის ხელშია ეხლა ძალა უფლება საქართველოში. ეს პარტია ცნობილია მით, რომ მას დიდი ხანია მეტად მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის სოციალ-დემოკრატებთან. ამ ძვირფასი (კურსივი „-ჯაგათამართი"-საა) კავშირის გამო საქართველოს პოლიტიკურმა აგენტებმა მსოფლიო ომის დაწყებისას შესძლეს დაედოთ გერმანიის მთავრობასთან საიდუმლო ხელშეკრულობა, რომლის ძალით გერმანიას, თუ რუსეთი დამარცხდებოდა უნდა აეძულებინა ეს უკანასკნელი ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. გამორკვეულია, თუ როგორ იქნა შესრულებული ეს ხელშეკრულობა ბრესტლიტოვსკის ზავის შემდეგ. იმ დროს, როცა სომხური ჯარები გმირულ წინააღმდეგობას უწევდენ მტერს კავკასიის ფრონტზე, ქართველები, მხოლოდ გარეგნულათ მოკავშირენი სომხებისა, მოქმედებდენ კულასების იქით, რომ შეეფერხებინათ და ხელი შეეშალათ სომხების წინააღმდეგობისთვის, ისინი ეჩქაროდენ შეეწყვიტათ ოსმალეთთან მტრული მოქმედებანი, რომ საიდუმლო ხელშეკრულობა სისრულეში ყოფილიყო მოყვანილი. ცნობილია ყოფა-ქცევა ქართველი გენერლის ოდიშელიძისა, რომელიც მაშინ ერზრუმს უფროსობდა. თფილისში მყოფ სამხედრო კომიტეტის განკარგულებათა წინააღმდეგ სომხების გენერლებისა, რომლებმაც გადასწყვიტეს გაეგრძელებინათ წინააღმდეგობის გაწევა. ოდიშელიძემ აიძულა დაეცალათ ერზერუმი მაშინ, როცა არაფერი არ ამართლდებდა ამ გადაწყვეტილებას. ერზერუმის დატოვებით ოსმალურ ჯარებს გზა გაეხსნათ კავკასიაში თავისუფლათ შემოსასვლელათ. ამისდა მიუხედავათ სომხები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გენ. ნაზარბეკოვი, მტკიცეთ განაგრძნობდენ წინააღმდეგობის გაწევას კარაკლისთან მომხდარ ბრძოლამდე, რომელმაც ცოტათ თუ ბევრათ დაასუსტა ოსმალთა „შემოტევა".

ასეთია შოვინისტ სომეხთა ახალი „დანოსი" საქართველოზე!

საქართველოს გარეშემო

(წერილი ყუბანიდან.)

როგორც სარატოვის რაიონში, ისე ყუბანის ოლქში, მატარებელში თუ სხვაგან, სადაც კი 5—10 კაცი მოიყრის თავს, აუცილებლათ ჩამოვარდება ლაპარაკი საქართველოს შესახებ საქართველო მოლალატეა. აბა, შეხედე სომხებს, როგორი ერთგულება გამოიჩინეს, ამბობს ერთი პოლკოვნიკი, საქართველოდან დაბრუნებული. სომხებმა თფილისი, აიღეს და ეხლა ჩვენთან შემოერთება უნდათ: ამ დღეებში სომხების მთელი დივიზია ჩვენს ჯარს შეუერთდებაო.

სომხის შოვინისტები ხომ ცეცხლზე ნავთს ასხამენ. ეწევიან აგიტაციას. საქართველოდან რუსებს ერეკებიან, ვინც არ დასტოვებს საქართველოს, ჯარში გაჰყავთ ან ციხეში ამწყვდევენ. აი, რას გაიგონებთ მათგან. ყველაფერი ეს ნდობას უკარგავს ქართველებს, ისედაც შევიწროვებულთ კიდევ უფრო ავიწროებენ.

ჩვენი სამხედრო ტყვეები აუტანელ გაჭირვებას განიცდიან, მშიერნი, შიშველ ტიტველნი დაბრუნებული ტყვეები ლამობენ ჩქარა სამშობლოში მისვლას, მაგრამ ნაცვლად ხელის შეწყობისა, მათ აჩერებენ გზებში, უმეტესად ყუბანში, ამუშავებენ სოფლებში, არის შემთხვევა, როცა როზგებითაც უმასპინძლდებიან ამის შესახებ არა ერთხელ მიმართეს ყუბანის მთავრობის წევრს, რომელიც განაგებს ტყვეების საქმეს, რომლისგანაც პასუხად მიიღეს:,, **ყველა ქართველი ტყვეები მიღებისთანავე იგზავნებიან საქართველოში, ჩვენ მათ არ ვაჩერებთ, მაგრამ არის შემთხვევა როცა დენიკინის მოხელენი აჩერებენ მათ, ამის გამო საჭიროა მიმართოთ დენიკინსო.** ასეც მოიქცა **საქართველოს წარმომადგენელი, მაგრამ ასეთ მოვლენას ბოლო არ ეღება. დენიკინის მომხრენი კი ყოველივე საშუალებას ხმაროობენ რითაც კი შეეძლებათ შეავიწროვონ საქართველოს მოქალაქენი.**

,,ერთობა''

ჩვენს პარტიაში

პარტიულ ამხანაგებს.

ამხანაგებო! ამ მოკლე ხანში უეჭველად უნდა იქნეს მიწვეული პარტიის კონფერენცია, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ჩვენი პროგრამა და პარტიული წესდება. ამ მხრივ ჩვენ მიერ უკვე მიღებულია ზომები და თქვენ მოგმართავთ მოწოდებით, ყველგან მოახდინოს წევრთა რეგისტრაცია, ორგანიზაციების დაარსება და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა გარკვეული დავალებით წარმოგზავნოს წარმომადგენლები; ამისთვის კი საჭიროა ადგილობრივ წევრთა კრების მოწვევა მათი მსჯელობა. მთავარი კომიტეტი თავის დროზე აცნობებს ამხანაგებს კონფერენციის მოწვევის დღესა და ადგილს. ამხანაგებო! ემზადეთ პარტიული კონფერენციისათვის!

მთავარი კომიტეტი

თებერვლის 27-ს დანიშნულია ახალგაზრდა მოწაფეთა და თანამოაზრეთა საქართველოს მემარცხენე სოც. ფედ. მაშვრალთა პარტიის საერთო კრება. (მისამართი: მუშტაიდის შესახვევი № 15. მუშათა კლუბი) გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ უეჭველად.

ქართველი რედაქციისგან

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჩვენი გაზეთის გამოცემა სათანადოთ ვერ მოეწყო. დღემდის რედაქციას თავიანი ბინა არ გააჩნდა და ჩვენს კორექტორის ხშირად საშუალება არ ჰქონდა კორექტურული შეცდომებიც ეს ესწორებია, ცხადია ასეთი მდგომარეობა დიდად აფერხებდა როგორც გაზეთის შინაარს, ისე მის გარეგნულ მხარესაც უკვე მიღებულია სასწრაფო ზომები რედაქციის ბინის მოსაპოვებლად და გაზეთის შინაარსის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია.

ბალშევიკების ცნობა მემარცხენე სოც. ფედ. მაშვრალთა შეახებ.

თებერვლის 19-ს თფილისის რადიო-სადგურმა შემდეგი ცნობა მიიღო მოსკოვიდან: გაზეთი ,,ბორბა'' იუწყება: საქართველოს სოციალ ფედერალისტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა. პარტიას გამოეყო მემარცხენე ჯგუფი. დაარსეს ჩაგრულთა პარტია, რომელიც იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას. პარტიამ განაცხადა, რომ ის ეცდება დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმის მიღწევას.

ახალი ამბავი.

ხოჭის ოლქის გაწმენდა მოხალისეთა ჯარისაგან.

ბრიტანეთის მისიის ოფიციალური ცნობა. რადგან მოხალისეთა არმიამ. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მისიას მისცა გარანტია არ მოეხდინა თავდასხმა სოჭის ოლქზე. მაინც მოახდინა თავთასხმა, ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს გაიყვანოს ჯარი ამ ოლქიდან.

ჩვენი პარტიის მიერ მიღებული ხმები

ქალაქებში:

1) თბილისში——369.
2) ქუთაისში——229.
3) სამტრედიაში——15.
4) ხონში——8.
5) თელავში——6.
6) ყვირილაში——1.
7) ჭიათურაში——12.
8) ფოთში——3.
9) გორში——29.
10) ოზურგეთში——62.

მაზრები:

1) ლეჩხუმის——44.
2) თიანეთის——4.
3) თელავის——2.
4) დუშეთის——5.
5) შორაპნის——124.
6) მცხეთის——5.

სულ 918.

დანარჩენი ცნობები იქნება შემდეგ ნომერში.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის", გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.